

2018 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს „ელვა“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	31.12.2018	31.12.2017	
აქტივები			
<i>მიმდინარე აქტივები, სულ:</i>	<i>2057132</i>	<i>1817895</i>	
ფულადი სახსრები	445642	565385	3.1
სავაჭრო მოთხოვნები	497429	357224	3.2
ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები			
მარაგები	1066223	830435	
სხვა მიმდინარე აქტივები	47838	64851	
<i>გრძელვადიანი აქტივები, სულ:</i>	<i>515170</i>	<i>592314</i>	
ძირითადი საშუალებები	512141	589170	3.4
არამატერიალური აქტივები	3029	3144	
სულ აქტივები:	2572302	2410209	
ვალდებულებები და კაპიტალი			
<i>ვალდებულებები, სულ:</i>	<i>52472</i>	<i>85322</i>	
სავაჭრო ვალდებულებები	4543	26812	3.6
საგადასახადო ვალდებულებები			
სხვა ვალდებულებები	47929	58510	3.7
<i>სულ კაპიტალი:</i>	<i>2519828</i>	<i>2324887</i>	3.8
საწესდებო (სააქციო) კაპიტალი	40000	40000	
დაგროვილი მოგება / დაუფარავი ზარალი	2479828	2284887	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	2572300	2410209	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2019 წ.

დირექტორი



დავით ნიშნიაიძე

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს „ელვა“

მოგება-ზარალის, სხვა სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	შენიშვნა
	2018	
ამონაგები	3314774	
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-1680835	
მოგება ან ზარალი რეალიზაციიდან	1633939	3.9
მიწოდების ხარჯები		3.10
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-1175840	3.11
სულ საოპერაციო ხარჯები:	-1175840	
საპროცენტო შემოსავალი		
დადებითი საკურსო სხვაობები		
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:		
უარყოფითი საკურსო სხვაობები		
გაუთვალისწინებელი ხარჯები		
სულ არასაოპერაციო ხარჯები:		
მოგება დაბეგვრამდე:	458099	
მოგების გადასახადის ხარჯი		
სულ საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი:	458099	3.13
სულ საანგარიშგებო პერიოდის სხვა სრული შემოსავალი:		
სულ საანგარიშგებო პერიოდის სრული შემოსავალი:	458099	
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	2324887	
ახალი აქციების გამოშვება / კაპიტალის ზრდა		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი):	-263158	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	458099	
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2519828	3.14

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2019 წ.

დირექტორი



დავით ნიშნიანიძე

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

2018 წლის ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ელვა“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2007 წლის 19 სექტემბერს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 212899194, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქუთაისი, შევჩენკოს 8. ფაქტობრივი მისამართი ემთხვევა იურიდიულ მისამართს. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია ვახტანგი ტონია (პ/ნ 60003005614).

1.3. კომპანიის დირექტორია დავით ნიშნიანიძე (პ/ნ 60002009637).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა პურის და საკონდიტრო ნაწარმის წარმოება და რეალიზაცია.

1.5. კომპანიას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.6. კომპანიას დაქირავებულ თანამშრომელთა რიცხვი 2018 წელს შეადგენდა 105 კაცს.

1.7. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს და მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. შესაბამისობის პრინციპი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად, რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე (რომელიც გამოიყენება მსს ფასს 35-ე განყოფილების “მსს ფასს-ზე გადასვლა” ფარგლებში).

ფინანსური ანგარიშგებები შედგება სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების და განმარტებითი შენიშვნებისგან.

კომპანია ნათლად და უპირობოდ აცხადებს, რომ:

- მას წინა პერიოდებში საერთოდ არ წარუდგენია ფინანსური ანგარიშგება და მსს ფასს-ის პირველად გამოყენების თარიღი არის 2018 წლის 01 იანვარი;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება, რაც ასევე გამოყენებულ იქნება მსს ფასს-ის შემდგომი პერიოდების ფინანსური ანგარიშგების პაკეტის მომზადებისას შესაძარისი ინფორმაციის წარმოდგენით.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძველად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი.

2.2. 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.3. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოსა და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.4. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.5. 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.6. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.7. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდის შესაბამისად, საქონლის გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის საბაზრო ღირებულებით.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება (გარდა მცირევადიანი ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისა) ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. მარაგების ჩამოწერა ხდება საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

მანქანა-დანადგარები - 5 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 5 წელი;

იჯარით აღებული ფართის კაპიტალური რემონტი - 6-7 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები.

2017-2018 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6766 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.5922 ლარი;

1 EUR=3.1044 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2018_ის მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017_ის მდგომარეობით
ფული და ფულის ეკვივალენტები		
ლარი სალაროში	224064	304913
საბანკო ანგარიშებზე	221578	260472
სულ:	445642	565385

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2018_ის მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017_ის მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები იურიდიული პირების მიმართ	497427	357224
სულ:	497427	357224

2018 წლის ბოლოსათვის, კომპანიას არ აქვს გაუფასურებული დებიტორული მოთხოვნები.

3.3. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2018_ის მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017_ის მდგომარეობით
მარაგები		
მზა პროდუქცია	4254	15240
სხვა სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	1061969	815195
სულ:	1066223	830435

3.4. ძირითადი საშუალებები:

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

3.6. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018_ის მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017_ის მდგომარეობით
სავაჭრო ვალდებულებები		
დავალიანება რეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	19382	47412
დავალიანება არარეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	0	0
სულ:	19382	47412

3.7. სხვა ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018_ის მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017_ის მდგომარეობით
სხვა ვალდებულებები		
გადასახდელი ხელფასები	33090	37910
ვალდებულებები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	0	0
სულ:	33090	37910

3.8. საკუთარი კაპიტალი:

კომპანიის წესდებით განსაზღვრული კაპიტალი 40000 ლარია, რაც დასაშვებია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით.

3.9. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2018 წელს კომპანიის ნეტო-ამონაგები მთლიანად შედგებოდა პურის და საკონდიტრო ნაწარმის დისტრიბუცია-რეალიზაციისაგან მიღებული შემოსავლებიდან - 3314774 ლარი. ამ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაა - 1680835 ლარი, რომელიც დათვლილია საშუალო შეწონილი ფასების მეთოდის გამოყენებით.

3.10. საანგარიშგებო პერიოდის მოგება (ზარალი):

კომპანიის 2018 წლის ფინანსური შედეგი - 458099 ლარი.

3.11. დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება

2018 წლის მოგებიდან განაწილება არ მომხდარა. შესაბამისად, კომპანიის გაუნაწილებელი მოგების ნაშთი 2018 წლის ბოლოს შედგება 2008 - 2018 წელს მიღებული მოგებიდან, რომლის განაწილების შესახებ გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული.

3.12. სასამართლო დავები:

კომპანიას 2018 წლის განმავლობაში სასამართლო დავები არ ჰქონია.

3.13. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2019 წლის 1 იანვრიდან 30 სექტემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში საყურადღებო მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.

3.14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 30 სექტემბერს.



ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2018	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2017	წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღი
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	445,642	565,385	
სავაჭრო მოთხოვნები	497,427	357,224	
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი			
მარაგები	1,066,223	830,435	
- შპს პრინციპალი	4,254	15,240	
- სხვა	1,061,969	815,195	
საინვესტიციო ქონება			
სხვა მიმდინარე აქტივები	47,838	64,851	
ბიოლოგიური აქტივები			
- თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები	3,029	3,144	
ძირითადი საშუალებები	512,141	589,170	
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები	2,572,300	2,410,209	
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება	14,839	20,600	
სავაჭრო ვალდებულებები	4,543	26,812	
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	33,090	37,910	
საგადასახადო ვალდებულებები			
გამოუმტკიცებელი შემოსავალი			
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები			
სულ ვალდებულებები	52,472	85,322	
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	40,000	40,000	
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	2,479,828	2,284,887	
გადაფასების რეზერვი			
სხვა რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი	2,519,828	2,324,887	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2,572,300	2,410,209	

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

	საანგარიშგებო პერიოდი 2018	წინა საანგარიშგებო პერიოდი
ნეტო ამონაგები	3,314,774	
საქონლის გაყიდვიდან	3,295,984	
მომსახურების გაწევიდან		
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
სხვა	18,790	
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(1,680,835)	
საწყისი მარაგები	(830,435)	
მარაგების შესყიდვა	(1,916,623)	
გადამუშავების დანახარჯები		
საბოლოო მარაგები	1,066,223	
საერთო მოგება	1,633,939	
სხვა შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	(527,563)	
ცვეთა და ამორტიზაცია	(187,806)	
საპროცენტო შემოსავალი:		
საპროცენტო ხარჯი :		
იჯარის ხარჯი	(261,883)	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(198,588)	
სულ საოპერაციო ხარჯები	(1,175,840)	
საოპერაციო მოგება	458,099	
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები		
მარაგები		
სხვა არაფინანსური აქტივები		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:		
მიღებული დივიდენდები		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	458,099	
მოგების გადასახადი		
მოგება/(ზარალი)	458,099	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		
სხვა		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	458,099	
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	2,324,887	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(263,158)	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	458,099	
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2,519,828	

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		
სავალუტო კურსის ეფექტი		
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		